საქართველოს მთავრობის

დადგენილება №500

2011 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთების დადგენის თაობაზე

მუხლი 1. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2011 წლის 9 დეკემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, დადგინდეს თანდართული „ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთები“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

დანართი

ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის

წლიური განაკვეთები

ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთებია:

ა) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე – 200 000 ლარი;

ბ) თვითმმართველი ქალაქი ბათუმის ტერიტორიაზე – 80 000 ლარი;

გ) თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის ტერიტორიაზე – 80 000 ლარი;

დ) თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ტერიტორიაზე – 80 000 ლარი;

ე) სხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე – 40 000 ლარი.